

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში,
ბეჭდებიც ბეჭდუდნი სიფყვას,
ცყუილებით და ჭბრებით ბუბთის
გაფანა ყუულა უჯარბისდბაჭე
უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

ოთხშაბათი, **29** იანვარი, 2014 წელი.
№19 (7400)

რუსკულუკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

„გიული ალასანი დაკავშირებულია რადიკალური ისლამისტური დაჯგუფების კავშირებთან“

ქრთამის სახით მი-
ღებული მილიონ
ასი ათასი ლარი
ძალიან უხეში კა-
ნონდარღვევაა. კო-
რუფციული სახით,
გიული ალასანიამ
და სააკაშვილმა ეს
თანხები ერთობლი-
ვად მიიღეს



როდის მოვიბრუნებ დავოსში დათესილს...

„ღია კარი“ რადიკალური კონფესიების დასაფინანსებლად



საქართველოს სამსახურების მოგაპალი მისი წარსულის სამართლებრივ და ზნეობრივ უფასეობაშია

მთავრობას ლარი 6 მართლა გაეჩხა?!



პატიმრობის წინააღმდეგ დაგატებით კლას 11 გამოიყენებენ?

ღღის აფრაზურიდან

კმარალი თვა თუთბარიკა პირველი ლადი კი არა - ქვეყნის პირველი ყუადი

– თქვენს გუშინდელ გაზეთში დიდი პატივი დასდეთ ბო-
ლო ათწლეულში ავად თავგამოლაშქრებულ კმარელ თვა
თუთბერიძეს, როცა ქვეყნის პირველ ლედად გამოიყვანეთ.
ჯერ ერთი, ბევრად აჯობებდა, რომ პირველი ლედის მო-
ვალოების შემსრულებლად წარმოგედგინათ, სანამ ნამდ-
ვილი ლედის ვინაობას გაარკვევდეს ამჟამინდელი, ცოტა
არ იყოს, დაბნეული მთავრობა და საზოგადოება.
ისე კი, ჩემი წინადადებაა, რომ საერთოდ შემოვიღოთ
ძველენის პირველი ყუადის წოდება და ამჯერად სწორედ
ეს მომბეზრებლად ცნობილი მოლაყბე, ენაჭარტალა და
ენაწაგდებული კაჭკაჭა დავაჯილდოვოთ ამ წოდებით –
თვა თუთბარიკა – ძველენის პირველი ყუადი!

ხათუნა წიკლაური,
ლოგოპედი
ქ. გური.



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამან ვერ ნახავ!..

ბრალდება

(მსაჯულთა ბრალდება) არის ფრაგმენტი, სადაც კანონდარღვევით შემოსავლების მიღებაში ერთობლივად ფიგურირებენ სააკაშვილის მეუღლე, დედა და სიდედრი...

„გიული ალასანი და კავშირები რადიკალური ისლამისტური დაჯგუფების კაკიჭალთან“



მის გამოძიებაში, — აცხადებს ჯონდი ბალათურია და განმარტავს, რომ სააკაშვილი ახლა ხაფანგშია, თუნდაც ამ საქმიდან გამომდინარე...

ადამიანს ათასლარიანი შემოსავალი აქვს და ამ დროს ასი ათასი ლარის ქონება აღმოაჩნდება, ცხადია, დაწარჩენ ქონებას ვერ დაასაბუთებს...

ჩვენი დავინტერესდით, რა ეტაპზეა სააკაშვილის დედის გიული ალასანი წინააღმდეგ საქმის ძიება და დავუკავშირდით მთავარი პროკურატურის პრესსამსახურს...

რაც შეეხება გიული ალასანიანთან დაკავშირებულ კომპანიას, რომელიც, ჯონდი ბალათურიას თქმით, საქართველოს განათლების სისტემაში კომპანია „ჩაღღარის“ სახით არის ცნობილი...

დემირელის სახელობის საბავშვო ბაღი; თბილისის სკოლა-ლიცეუმი „სხივი“; ბათუმის შაჰინის სახელობის დაწვებითი სკოლა; ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის დაწვებითი სკოლა...

მანანა ნოზაძე

ღია საუბარი

მთავრობას ლარი მართლა გაექანა?!

ბმლშ პერიოდის ქართულ პრესაში განხილული შემოწმების მუშაობის თემაზე არსებობს სათარგმნო: მთავრობა გაქცეულ ლარს ვეღარ ეწვევა...

რას ფიქრობენ მოქალაქეები, ექსპერტები, პოლიტოლოგები?

შიმშილობის მიზეზი მინც მიუკვლეველი დარჩათ. ძალიან მეუხერხულეა, ბატონოებო, ამის თქმა...

— ვერ გეტყვი, ამბობს მობოდიშებით, მთავრობას გაეცა თუ არა, აი, ჩვენ, რიგით ადამიანებს კი ნამდვილად გაგვეცა, თანაც ისე, რომ არა თუ პენსიონერები, ჯან-ღონით სავესტაბარდებიც კი ვეღარ ეწვევიან...

— ეს რაც გაგვეხარა, ჩემო ბატონო, ახლა გაქცეულმა ფასებმა წავგართა. ვიფიქრე, რადგან პროდუქტები ძვირდება, ერთბაშად 10 კილო კარტოფილს ავიღებ-მეთქი...

— ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში რომ მოდიოდა, ფიქრობდით, ცხოვრება უკეთესი გახდებოდა, მაგრამ არ გამართლდა. ჯერჯერობით, ხალხი ისევე უმუშევარი და გაჭირვებულია...

— არ მუშაობთ? — დავინტერესდი. — თუკი ამას მუშაობას დავარქმევთ, კი. სამუშაო რომ ვერსად ვიშოვე (ნაციონალი თუ არ იყავი ახლოს არავინ გაგიკარებდა)...

— მართო ეგ არ არის. ბანკიდან კრედიტი დოლარებში მიქვს ალბულები და სარდაფის მეტატრონსაც ქირას უცხოურ ვალუტაში ვუხდი...

— გასაგებია, შესასყიდი პროდუქტების ფასმა აინჯა და შესაბამისად რეალურადაც. — მართო ეგ არ არის. ბანკიდან კრედიტი დოლარებში მიქვს ალბულები და სარდაფის მეტატრონსაც ქირას უცხოურ ვალუტაში ვუხდი...

ლარის მიმართ იმდენად არა, რამდენადაც მთავრობის მიმართ დავკარგე ნდობა, განაცხადა ჩემთან საუბრობისას ნოდარ გობეჯია...

ამ მდგომარეობაში დარჩა. „მთავრობა გვეუბნება, დაშვიდდითო, ამბობს ის, მაგრამ მღვდლებს საფუძველს ვადავდებ იძლევა, იგივე ეროვნული ბანკი, როცა თავინული ვალუტის საოცარი ტემპით დაძარცვას...

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის ეჭვი არ ეპარება, რომ თუ მოვლენები ეკონომიკური მიმართულებით შეუქცევადი გახდა, ლარის კურსი კვლავ პრობლემური იქნება...

აგაშენა ღმერთმა, ბატონო სოსო, სრულ სიმართლეს ლაღადებო. ზემოთაც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, ციფრებით ჟონგლირობა, მშვიდობის სახსრების სტატისტიკით დაპირება არც ნინა ხელისუფლებას გამოუვიდა და არც ახლაც გამოუვა...

კიდევ რის გამოცხადებს უცდით, ბატონო ფინანსთა მინისტრი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი? მინც და მინც ნ-პროცენტანამ ინფლაციამ უნდა შემოგვიტყოს (მინორირი ინფლაცია მხოლოდ ნ პროცენტი)...

ოთარ ხუციშვილი

მშვილდოსნობა

გუნდები ხელპარაოლები დააკოვლეს

თბილისის, ხელგაჩაურის, ბათუმის, ქუთაისისა და ასპინძის 45-მდე მშვილდოსანი მონაწილეობდა საქართველოს ზამთრის პირველობაში, რომელიც ხელგაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფლის სასპორტო სკოლის დარბაზში გაიმართა. განსაკუთრებით მონაწილეები ქართველები იყვნენ. ეს ორმაგად სასიხარულოა, რადგან ახალგაზრდობა ქართული მშვილდოსნობის მომავალია და წლების განმავლობაში თაობებს შორის არსებული ვაკუუმი ნელ-ნელა ივსება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართველ ჩუბინთა გეოგრაფია გაიზარდა. სპორტსმენები 18-მეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს პირველობას. ასპარეზობას მათი ვინაობაც უნდა დაეხმებინა, რომლებიც თებერვალ-მარტის მიჯნაზე საფრანგეთში მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატზე გაემგზავრებიან. ალბათ, ამიტომაც გამოვიდნენ ცეცხლის ხაზზე ვაჟთა გუნდის ლიდერი ლაშა ფხაკაძე, სპორტიდან ლამის წასული ასმათ დიასამიძე, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ქრისტინე ესეგუა.

ქალთა ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი 568



ქულით ხატუნა ნარიმანიძემ მოიგო. მეორე-მეოთხე ადგილებზე, შესაბამისად, იულია ლობჯანიძე (556), ასმათ დიასამიძე (552) და ქრისტინე ესეგუა (548) გავიდნენ. პლეი ოფში ახალგაზრდა ხელგაჩაურელმა ლანა ვერულიძემ ყველასთვის მოულოდნელად 6:4 აჯობა ესეგუას, ასეთივე ანგარიშით დიასამიძემ ნინო დევაძეს სძლია, თუმცა ნახევარფინალში ლობჯანიძეთან 4:6 დამარცხდა, არადა, შეხვედრას თავიდან 4:2-ს იგებდა. ნარიმანიძემ იოლა დაჯაბნა ვერულიძე, შემდეგ გადამწვეტ პაეჭრობაში არც ლობჯანიძე დაინდო და დეკემბრის ტურნირზე მასთან მარცხისთვის რევანში აიღო. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში დიასამიძემ ვერულიძეს 6:0 აჯობა.

ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ლაშა ფხაკაძე, 2. ჯაბა მოსეშვილი, 3. მამუკა შუშაძე. ახალგაზრდები. გოგონები. 1. ციალა ფუტყარაძე, 2. მარიკა მახარაძე, 3. თეონა კუტაბაძე. ბიჭები. 1. ლევან ჩიტიშვილი, 2. ტარიელ ქაიძე, 3. ლადო ბოლქვაძე.

ლემსო ცინცაძე

როგორ

ბანახლეული რეიტინგით



როგორც კალთა საერთაშორისო ასოციაციამ წინა ორი კვირის შედეგებით განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ერთეულებში ანა ტატიშვილი კლასიფიკაციაში 534 ქულით 126-დან 118-ე საფეხურზე გადაინაცვლა. დანარჩენ ჩვენებურთა მაჩვენებლები: 213 (214). სოფიო შაფათაია (288 ქულა), 313 (317). ოქსანა კალაშნიკოვა (150), 418 (418). ეკატერინე გორგოძე (97), 454 (453). მარგალიტა ჩახნაშვილი-რანიცინგერი (81), 832 (743). სოფიო ქვაცაბაია (20). 1184 (1204). მარიამ ბოლქვაძე (5), 1232 (1234). თამარ ჭალაგანიძე (3).

წყვილები. 53 (57). ოქსანა კალაშნიკოვა (1632), 83 (84). ანა ტატიშვილი (1085), 181 (178). სოფიო შაფათაია (382), 461 (460). ეკატერინე გორგოძე (107), 547 (523). სოფიო ქვაცაბაია (76), 769 (770). მარგალიტა ჩახნაშვილი-რანიცინგერი (34), 1272 (1264). თამარ ჭალაგანიძე (4), 1299 (1289). მარიამ ბოლქვაძე (3).

ATP-ს რეიტინგში ნიკოლოზ ბასილაშვილს 85 ქულით 443-ე ადგილი უკავია. 1090 (1091). ალექსანდრე მეტრეველი (8), 1433 (1432). გიორგი ჯავახიშვილი (3), 1640 (1635). გიორგი ცივაძე (2), 2092 (2090). მიხეილ ხმიადაშვილი (1).

ლაშა დიდი

ძიულ



უზნაძის რჩეულნი

საბარტმელოს ძიუდოსტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ ის ფალანგები დაასახელა, რომლებსაც 8-9 თებერვალს პარიზში სეზონის პირველსა და ყველაზე პრესტიჟულ „დიდ სლემზე“ წაიყვანს. ესენი არიან: ამირან პაპინაშვილი, ლუბუმ ჩხვიშიანი (ორივე - 60), შალვა ქარდავა, გიორგი ქაღანი (66), ზებედა რეხვიანი, ნუგზარ ტატალაშვილი (73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, უზანგი მარგანი (81), ვალერი ლიპარტელიანი, ბექა ლვინიაშვილი (90), ნოდარ მეტრეველი, იოსებ მსხალაძე (100), ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი (+100).

გივი ბაგვა

ინფორმაცია თეაზი

საქართველოს ნაკრების ძიუდოსტები შეკრებაზე ნასპაში მივიდნენ

საბარტმელოს ნაკრების ძიუდოსტები გურამ თუშიშვილი და ლაშა ტაველური შეკრებაზე ნასპაში გამოცხადდნენ. სპორტული რეჟიმის დარღვევისთვის საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ თუშიშვილს ერთწლიანი, სოლო ტაველურს 6-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

ამასთან, არსებული ინფორმაციით, გადამწყვეტილება საბოლოო არ არის, თუმცა გარკვეული პირობებით გადაიხედება. კერძოდ, თუშიშვილის საქმე სამ, ტაველურისა კი ორ თვეზე ადრე ვერ გადაიხედება და ესეც იმ პი-



რობით, თუ მათზე პირადი მწვრთნელები აიღებენ პასუხისმგებლობას.

უზან დოლიძე

პითარება

ერთი თვე კოვაში

ზუსტად ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მიხეილ შუმასერმა სამთო თხილამურებით სრიალისას მომხდარი ინციდენტის შედეგად თავის ტვინის უმძიმესი ტრავმა მიიღო. ამ დროის განმავლობაში FI-ის მსოფლიოს შეიდეგის ჩემპიონს ქალაქ გრენოზის სპორტის ექიმები მართვად კომაში ამყოფებენ.

სამწუხაროდ, ბრიტანულ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლეგენდარულმა გერმანელმა, შესაძლოა, განსაცდელს თავი ვერ დააღწიოს, ან თუ კომიდან მისი გამოყვანა შესაძლებელი გახდება, ჯანმრთელობას სრულფასოვნად ვეღარ აღიდგენს.

გერმანულ პრესაში წერენ, რომ ექიმებს ჯერ გადამწყვეტილი არ აქვთ, თუ როდის იქნება შესაძლებელი „შუმის“ ღრმა ანესთეზიიდან გამოყვანა. მათი თქმით, პირველი რვა-ათი დღის შემდეგ ყოველი დღე, რომელსაც ადამიანი კომაში ატარებს, იმის შანსს ზრდის, რომ მისი გამოფხიზლება შეუძლებელი გახდება. ამის მიუხედავად ექიმები ახლა კომის დასრულებას ერიდებიან, რადგან შიშობენ, რომ ამას ტვინში სისხლის გაყოფა მოჰყვება. ჰანოვერში (გერმანია) ჩატარებულ ნეიროქირურგთა კონფერენციაზე შუმასერის მდგომარეობაც განიხილეს. ის-

ნი არ გამოირცხვენ, რომ გამოფხიზლების შემდეგ „შუმის“ მესიერების პრობლემები შეიძლება შეექმნას.

გუშინ ლეგენდარული გერმანელი მისმა მეგობარმა, საერთაშორისო სავაჭრომობილო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან ტოდტმა მოინახულა. შუმის მეუღლეს კორინა შუმასერს უთქვამს, რომ მის ქმარს ახლა ყველაზე მეტად უახლოესი მეგობრების გვერდში დგომა სჭირდება, რასაც ტოდტი მაშინვე გამოეხმაურა.

„მიხალა და ჟანს ღრმა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე არსებული მეგობრობა აკავშირებთ და ეს მეგობრობა „ფერარიში“ გატარებულ პერიოდში დაიწყო. კარგია, რომ ახლა ჟანი მიხეილის გვერდზეა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია“, - ამბობს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ავსტრიელი ნიკი ლაუდა.

პიტალი ჯაფარიძე



ფაზურთი

ბალოტელი „მილანში“ რჩება



„მილანის“ ფორვარდმა მარიო ბალოტელმა განაცხადა, რომ ზამთრის სატრანსფერო სეზონში კლუბის შეცვლას არ გეგმავს. 23 წლის თავდამსხმელისთვის პრიორიტეტული „როსონერიში“ თამაშია.

„პრესაში ჩემზე გამუდმებით რაღაცას წერენ. ამ ინფორმაციებიდან სიმართლეს არცერთი შეესაბამება. „პსჟ“-ში გადასვლა გამორიცხვულია“, - განუცხადა ბალოტელიმ აპენინურ მედიას.

ცნობისათვის, იტალიის ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში ბალოტელიმ „მილანის“ მაისურით 16 მატჩი ჩაატარა და 9 გოლი მიითვალა.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

სპორტსმენების სახე ქალის ქვედა საცვლებზე...

მკვინან ადამიანს, თუკი ფულის შოვნა აქვს გადაწყვეტილი და საწყისი კაპიტალიც გააჩნია, ყოველთვის აქვს დიდი შანსი, რომ სურვილი აისრულდეს და ფულის საშოვნელად ისეთი გზები და ბილიკები ეძიოს, რომელთა არსებობაც აქამდე ჯერ არავინ იცოდა.

გერმანელი მენარმე, ვინმე იოლანდა გრინგერი, რომელიც შვაბიაში ტექსტილის საწარმოს ფლობს, ცოტა ხნის წინათ მძაფრი კონკურენციის გამო კინალამ გაკოტრდა, თუმცა ქალბატონმა იოლანდამ ჭკუა იხმარა და ორიგინალური შეთავაზება გააკეთა მომხმარებლისთვის.

სულ რაღაც 4 ევროს გადახდის შემთხვევაში ზემოაღნიშნული საწარმო ქალებს სთავაზობს სხვადასხვა ზომისა და ფერის ქვედა საცვლებს, რომლებზეც არც მეტი, არც ნაკლები, ცნობილი სპორტსმენების სახელი წერია. იოლანდა გრინგერს ამ ერთობ ეშმაკური ხერხით მილიონზე მეტი ქალის ქვედა საცვალი უკვე გაუყიდა და დი-



როსტომ რაჭველიშვილი

ღანიჯისტი

სიზჷჷა, როგორც არ წარმოთქმულა



ღიდი ბრიტანეთის მთავრობას იმდენად უზინოდა მესამე მსოფლიო ომის დანებისა, რომ 1983 წლის მარტში საგანგებოდად მოამზადა დედოფალ ელისაბედ II-ის მიმართვა ერისადმი, რომლის ტექსტი ცოტა ხნის წინათ განსაიდუმლოეს.


„საფრთხეები, რომელთა წინაშე დღეს ვდგავართ, ბევრად ჭარბობენ იმას, რომელიც წინაშე ოდესმე მოგვიწია ყოფნაში“ - ამ და მსგავსი დრამატული გამოთქმებით იწყებოდა დედოფლის მიმართვა აპოკალიფსის დადგომის თაობაზე.

ერის გასამხნეველად ელისაბედ II-ემ საზოგადოებას იმას, რომ მისი ოჯახიც ამ ბრძოლაში ჩაერთვებოდა: „ჩემი საყვარელი ვაჟი შვილი ენდრიუ თავის ქვედანაყოფიანად მოქმედ ჯარში იმყოფება, ჩვენ მუსხლმოდრეკილი ვლოცულობთ მისი უსაფრთხოებისთვის ისევე, როგორც ყველა ჯარისკაცის ჯანმრთელობაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ“.

საბედნიეროდ, ამ სიტყვის წარმოთქმის საბაბი აღარ წარმოიშვა, იგი მხოლოდ სამხედროებმა მოსმინეს. ეს 1983 წელს მოხდა, როცა ბრიტანეთის არმია წვრთნებს ატარებდა იმ შემთხვევისთვის, თუკი აშშ და სსრ კავშირი მაინც მიმართავდნენ უკიდურეს ზომებს და ომს დაიწყებდნენ.

აკრალული ვერცხლისწყალი

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტებმა აკრალული ვერცხლისწყლის სითხის საზომები სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ ხელსაწყოებად გამოაცხადეს.



არა, არა, ეპ ჩემი შვილი არ არის!

ამ ამბავმა ცოტა ხნის წინათ მთელი ინტერნეტი მოიარა: ჩინეთში ერთ-ერთმა მამაკაცმა ცოლს სასამართლოში იმის გამო უჩივლა, რომ მან... უშნო ქალიშვილი გაუჩინა!



საკმაოდ სიმბათიური წყვილი სიყვარულით შეუღლდა, ბედნიერადაც ცხოვრობდა, მაგრამ მახინჯი ბავშვის გა-

ჩენამ ყველაფერს ბოლო მოუღო. დნკ-ტესტებმა ქმრის მამობა დაადასტურეს, მაგრამ კუთხეში მიმწყვედულმა ქალმა აღიარა, რომ გათხოვებამდე ორი წლით ადრე სამხრეთ კორეაში 100 ათას დოლარად პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა. ჰოდა, როგორც აღმოჩნდა, გენების „ლაბაზე შეფუთვაში“ გამომწყვედვა შეუძლებელი აღმოჩნდა და საბრალდო გოგონამაც დედის საიდუმლო გათქვა, რომელსაც სასამართლომ ყოფილი ქმრისთვის 120 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა.

ოზონის შრის „გამოკითხვა“

თანამშრომლობის დაკვირვებამ აჩვენა, რომ წლების წინ ანტარქტიდის თავზე დედამიწის ატმოსფეროში წარმოშობილი ოზონის შრეში სგრული თანდათანობით იცვება.

მეცნიერთა განცხადებით, ანტარქტიდის თავზე ოზონის სგრული კულსირებს, მისი ზომები წლის დროს, მზის აქტივობასა და სხვა ფაქტორებზე დამოკიდებული. მისი „ფეთქვა“ მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა კი ისიცაა, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით მდგომარეობა ნამდვილად გაუმჯობესდა. ამის პირველი მიზეზი ისაა, რომ დედამიწაზე ვულკანური აქტივობა 30 წლის წინანდელთან შედარებით შესუსტდა. არადა, სწორედ ვულკანები გამოაფრქვევენ ატმოსფეროში გაზებისა და აეროზოლების უზარმაზარ მოცულობას, რომელიც ოზონის შრეს შლის. მეორე მიზეზი ისაა, რომ გარკვეული როლი შეასრულა გაროს ქვეყნების მიერ ხელმოწერილმა მონრეალის პროტოკოლმა, რომლითაც ოზონის შრის დამშლელი ფრეონების წარმოების შემცირებას ითვალისწინებს. თუმცა კი, ჯერჯერობით ბოლომდე გარკვეული არ არის, თუ რა მოქმედებს ოზონის შრეზე უფრო ნეგატიურად - ბუნებრივი ფაქტორები თუ ადამიანის მოღვაწეობა.



სასამართლო განაჩენი

ისრაელში სიკვდილით დასჯა 1954 წელს გააუქმეს, თუმცა კი, ეს არ ეხება ომის დროს ჩადენილ დანაშაულებებს (მაგალითად, სახელმწიფო დალატს და სხვ.). ქვეყნის არსებობის მთელი ხნის მანძილზე, სასამართლოს განაჩენით მხოლოდ ორი კაცი დასაჯეს - 1948 წელს დიდი ბრიტანეთის ჯაშუში კაპიტანი მერტუვიანსკი და 1962 წელს ყოფილი გესტაპოელი ადოლფ ეისმანი.



დროდადრო, გახმაურებული სკანდალის შემდეგ, ისრაელში საყოველთაო დისკუსიები იწყება ხოლმე თემაზე „საჭიროა თუ არა სიკვდილით დასჯა“. ისე კი სიკვდილით დასჯა ბევრი იქაური დამანაშავის ხვედრია, ოღონდ სასამართლოს განაჩენის გარეშე, როცა სამხედროები ქვეყნის მტრებს კლავენ.

ჩვენი პრესდაიჯისტი

გაქმნილი ვახუსეუბიანი



რას ვხვდებით ბიორგი ბადაშვილში მისპროკურორი ნოზაძე?

ბიორგი ბადაშვილი არის ფარცხალაძის კადრი, მისი მოყვანილი, მისი იდეების გამგრძელებელი და სავარაუდოდ მისივე დანიშნული მაგ თანამდებობაზე. იგი ფარცხალაძის საქმის გამგრძელებელია ცუდი გაგებით, თორემ კარგი გაგებით რომ იყოს, რა უჭირს. მასთან კი ვიმუშავე, მაგრამ ერთი საქმე არ მოუკითხავს არასდროს. ყველაზე მთავარი, რაც უნდა გაეკეთებინა იმ კაცს, საქმეების მოკითხვა იყო. რეზონანსული საქმეები რომ მეზარა და ყოველდღე ველოდი, ან ახლა გამოიძახებს, ან ახლა-მეთქი. კაცი შვილს არ დაუსვამს კითხვა ჩემს საქმეებთან დაკავშირებით, რა გამოძიება მიმდინარეობდა, რას ვაკეთებდი, რას ვიძიებდი. არც არავინ წამოსწავს იმ საქმეებს, რადგან იგივე გუნდია.

„ხელისუფლებას მზიერი ადამიანების ბუნტი არ ასცდება“

ატცხადებს „ქართულ-ოსური“ და „ქართულ-აფხაზური“ სახლის“ ხელმძღვანელი ნესტან კირთაძე, - ხელისუფლება დიდი სიხარულით გამოირჩევა, მათი პროფესიონალიზმი და კვალიკიფაცია არის ნულის ტოლი. არ არსებობს არავითარი ნება და ინიციატივა... ამასობაში ხალხმა მიიღო გაცუდებული იმედეები, ოცნებები. ისინი ისევ დარჩნენ თავიანთი სიძნელეებისა და პრობლემების ზღვარზე. შეხვედრით, მიგრაციის კოეფიციენტი რამდენი პროცენტია. ხალხი ისევ მიანყდა უცხოეთის ქვეყნებს ოჯახების გამოსაკვებად. ყოველგვარ სამართლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია. სოციალური სამართლიანობის ნიშნული ნულის ტოლია.

ჩათების ჩხრევა და ნივთების დათმობის რეგისტრაციის შემოღება ქუჩაში

ფსოუში გადასვლა აფხაზური პასპორტითაც კი აიკრძაბა. აფხაზურ-ქართული საზღვარი ფსოუზე უკვე გადაკეტილია. ენგურზე გადასვლა ოლიმპიადის დღეებში მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვისაც საბუთები წესრიგში აქვთ. ენგურზე მგზავრობისთვის ჩანთების გაჩხრევა, ქუჩებში ხალხის შემოწმება, ყოველნაირი ნივთის საგულდაგულოდ გასინჯვა - ოლიმპიადის დღეებში აუცილებელი გახდება. როგორც უკვე ცნობილია, გადაადგილება ფსოუს მიმართულებით თვითონ აფხაზებსაც შეეზღუდათ, რაც ცალსახად სოჭის ოლიმპიადის უკავშირდება.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

ბაზათრებულ კმარი ბინაში შერბის და ცოლს უყვირის: - ყველაფერი ვიცი სად არის? - ვის ეძებ? აქ უცხო არავინაა! - კატეგორიულია ცოლი. - შვილო, - ეუბნება ქმარი პატარა ვაჟს, - ხომ არ იცი, სად არის დედაშენის საყვარელი? - სერგო ბიძია, ხომ არ იცი, სად არის საყვარელი? - საწოლქვეშ შეიხედავს ბიჭუნა. - პეტიკა, როგორ დაქორწინდი? - ინტერნეტის წყალობით. - გაცნობის საიტის მეშვეობით? - არა, მოდები გამიფუტა და და თეატრში წავიდი...



საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა: შპს „თანადგომა“-ს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაკ)070.4(479.22) 5-323 ISSN 2233-3851 9 772233 1385001 მთავარი რედაქტორი ალექს ახლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგუშია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი გიგუშა ვაშაძე 514 33-33-24